



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამოქალაქო ინჟინერია

ბაკალავრიატი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 25-26.01.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 07.02.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამოქალაქო ინჟინერია Civil Engineering
უმაღლესი განათლების საფეხური	I (ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	მეცნიერების ბაკალავრი სამოქალაქო ინჟინერიაში / Bachelor of Science in Civil Engineering
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია, 0732 / Building and Civil Engineering, 0732
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №22, 06 მარტი 2020 წ.

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ ბარათაშვილი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პაატა გერაძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - დაწესებულება) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სამოქალაქო ინჟინერია“ (შემდგომში - პროგრამა) მოქმედებს პირობით აკრედიტაციის რეჟიმში (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 6 მარტის №22 გადაწყვეტილება) და ხელახალი აკრედიტაციისათვის წარმოდგენილ იქნა მოდიფიცირებული ფორმით. პროგრამის მოცულობა 240 კრედიტს შეადგენს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია, რომლის მიხედვით დადგინდა, რომ პროგრამის კურიკულუმში და პროგრამის ყოველი კომპონენტის სილაბუსში აღწერილია რელევანტური მიზნები და შედეგები. პროგრამის კრედიტების რაოდენობა განაწილებულია პროგრამის ყველა კომპონენტზე. პროგრამის კომპონენტების კრედიტების რაოდენობა სრულად შეესაბამება კომპონენტის სპეციფიკას, ხოლო კრედიტის შესაბამისი საათების განაწილება ხდება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად. პროგრამის კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეესაბამება პროგრამის კომპონენტის თავისებურებებს. პროგრამის თითოეული კომპონენტის შემთხვევაში მითითებული მიზნები, სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლების და შეფასების მეთოდები, განახლებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა ურთიერთშესაბამისია, მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამით სწავლება ეფუძნება სააუდიტორიო/ლაბორატორიულ/პრაქტიკულ მეცადინეობებს, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას და სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას. სტუდენტის საკონტაქტო საათებში მოიაზრება ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკულ/ლაბორატორიული მეცადინეობები და სხვ. გამოიყენება სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის შემთხვევის ანალიზის, დისკუსიის, წერიტი მუშაობის, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების, ანალიზის, სინთეზის და სხვ. მეთოდები. აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის მოდიფიცირების პროცესში შესწავლილ იქნა უცხოური პროგრამების ანალოგები, პროგრამის მოდიფიცირების და თვითშეფასების პროცესში ჩართული იყვნენ დაინტერესებული მხარეები, განხორციელდა სტუდენტთა და პოტენციურ დამსაქმებლებისაგან მოსაზრებების შესწავლა და დარგში არსებული მოთხოვნების გათვალისწინება. აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა პასუხობს დარგში ახლად წარმოქმნილ გამოწვევებს და შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (№3210001443364) საფუძველზე 2022 წლის 25-26 იანვარს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის „სამოქალაქო ინჟინერია“ შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის (შემდგომში - ვიზიტი) დაწყებამდე ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდათ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და მისი დანართები, დაზუსტდა ვიზიტის დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა: ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად; ვიზიტამდე ჯგუფის წევრებმა დამატებით განიხილეს ინფორმაცია, ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის შესახებ, შეაჯერეს კითხვები და საკითხები, რომლებიც საჭიროებდნენ დაზუსტებას ან/და დამატებით განმარტებას. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ნაწილობრივ დისტანციურად Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით (პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა 25 იანვარს ადგილზე ვიზიტით, ჯგუფის ორი წევრი ჩართული იყო zoom-ის პლატფორმით). ვიზიტის ფარგლებში, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი შეხვედა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, სტუდენტებს, პოტენციურ დამსაქმებლებს და ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა პირებს. დაწესებულების ადმინისტრაციამ უზრუნველყო ყველა პირობა იმისათვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრული ინფორმაცია აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და ყველა თანდართული დოკუმენტი, ასევე პირობითი აკრედიტაციის გადაწყვეტილებაში მითითებული რეკომენდაციების შესრულების საკითხი. ვიზიტის ბოლოს ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის შედეგად მიღებული წინასწარი მიგნებები.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი #1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (კომპონენტები 1.1, 1.2 - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“);

სტანდარტი #2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (კომპონენტები 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 2.5 - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 2.6 კომპონენტი - „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“);

სტანდარტი #3 - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (კომპონენტი 3.1 - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“);

სტანდარტი #4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (კომპონენტები 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“);

სტანდარტი #5 - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (კომპონენტები 5.1, 5.2 და 5.3 - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“).

▪ რეკომენდაციები

- რეკომენდებულია შეიცვალოს საბაკალავრო პროექტის შეფასების კომპონენტები და შეიქმნას დეტალური რუბრიკები, სადაც ნათლად გამოიკვეთება ისეთი თემები, როგორებიცაა პრობლემის დასმისა და წარმოჩენის უნარის შეფასება; თემის სიახლის დასაბუთების უნარის შეფასება; გამოყენებული წყაროები/ლიტერატურის დამოწმების და მისი მრავალფეროვნების შეფასება.
- რეკომენდებულია შეიქმნას შეფასების დეტალური რუბრიკები საბაკალავრო პრაქტიკის დასკვნითი (დაცვის) გამოცდის შემთხვევაში.
- რეკომენდებულია საბაკალავრო პროექტების პლაგიატის ამომცნობ პროგრამაში შემოწმება.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო კურსების ცალკეული ჯგუფების დასახელებები (მაგ., „არჩევითი ჰუმანიტარული კომპონენტები“, „სავალდებულო არჩევითი უცხოური ენა“ და სხვ.) იყოს თანხვედრაში განათლების სფეროში მიღებულ ტერმინოლოგიასთან.
- მიზანშეწონილია გამოირიცხოს სალექციო თემატიკის გადაფარვები ზოგიერთ სილაბუსში.
- სასურველია სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი სასწავლო პროცედურების, მ.შ. შეფასების გასაჩივრების, შესახებ.
- სასურველია მინიმალური დადებითი შეფასების გაზრდა დასკვნითი გამოცდების შემთხვევაში.
- სასურველია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში ამოქმედოს დამატებითი სტიმულირების მექანიზმები, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში.
- სასურველია ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება დარგის პოტენციურ დამსაქმებლებთან.
- მიზანშეწონილია უცხოეთის უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები იყოს ფორმალიზებული ისეთი ფორმით, რომლის მეშვეობით დადგინდება უცხოეთის უსდ-ების პროგრამებთან დადარების შედეგები.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- მატერიალური ბაზა, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა მათ შორის ელექტრონული მაღალი ხარისხით პასუხობენ პროგრამით გათვალისწინებულ და ზოგადად დარგში არსებულ თანამედროვე მოთხოვნებს.
- საერთაშორისო საგრანტო და სამეცნიერო პროექტებში პროგრამის აკადემიური პერსონალის მონაწილეობის არსებული პრაქტიკა.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- განახლებული მატერიალურ ტექნიკური ბაზა.
- აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ზრდა და საერთაშორისო კვლევებში მეტი ჩართულობა.
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კიდე უფრო გაზრდილი დონე.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„სამოქალაქო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზანია მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ პროგრამით მიღებული ცოდნით უპასუხონ დარგის უახლეს გამოწვევებს კომპეტენციის ფარგლებში. პროგრამაში მიზნები შემდეგი სახითაა ფორმულირებული:

#1: საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მათემატიკის ფუნდამენტური თეზისების გამოყენებით, შეასწავლოს კურსდამთავრებულებს სამოქალაქო ინჟინერიის პროექტების მართვის, დარგში საინჟინრო პრობლემების იდენტიფიცირების და გადაჭრის თანამედროვე მიდგომები, უახლესი ტექნიკური საშუალებები და ტექნოლოგიები.

#2: სამოქალაქო ინჟინერიის ფუნდამენტური მეცნიერული საკითხების გააზრებით, აღზარდოს პრაქტიკოსი და ინოვაციური ინჟინრები, რომლებიც სათანადო თეორიული ცოდნის და პროფესიული კომპეტენტურობების გამოყენებით შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ და საკუთარი წვლილი შეიტანონ სამოქალაქო ინჟინერიის სფეროს სოციალური, ტექნიკური და ბიზნეს გამოწვევების დაძლევაში. მიზანი

#3: შეუქმნას კურსდამთავრებულებს სამოქალაქო ინჟინერიის სფეროში სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის მყარი საფუძველი.

პროგრამის მიზნები ასახავს კომპეტენციების, რომელთა მიღების შესაძლებლობა ექნება კურსდამთავრებულს პროგრამის შესწავლის შემთხვევაში. პროგრამის მიზებიანი შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და სამშენებლო ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიასთან. პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის („მეცნიერების ბაკალავრი სამოქალაქო ინჟინერიაში“), პროგრამის აქტუალობის და მიზნების განსაზღვრისას სრულადაა გათვალისწინებულია კვალიფიკაციის „მეცნიერების ბაკალავრი სამოქალაქო ინჟინერიაში“ მქონე სპეციალისტების მომზადების მნიშვნელობა და შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპეტენციების ჩამოყალიბების აუცილებლობა. აღნიშნულის აქტუალობა განპირობებულია თანამედროვე სამშენებლო კომპანიების, საინჟინრო-საკონსულტაციო ფირმების, საზედაშედეველო და საინსპექციო ორგანოების, ტესტირების ლაბორატორიების, ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებით დაკავებული სამთავრობო სტრუქტურების (სამინისტროების, მერიების, მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების) მხრიდან წლიდან წლამდე სტაბილურად მზარდი მოთხოვნით.

პროგრამის შემუშავებისას შესწავლილი და გათვალისწინებული იქნა სან-დიეგოს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამოქალაქო ინჟინერია“. პროგრამა შემუშავებულია მითითებული პროგრამის ანალოგიით (პროგრამის სტრუქტურა, მიზნები და მოსალოდნელი შედეგები), რომელსაც მინიჭებული აქვს ABET-ის (Accreditation Board for Engineering and Technology) აკრედიტაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ; http://gtu.ge/pdf/Strategic_Plan_for_Development_of_gtu_2018-2024.pdf
- სამშენებლო ფაკულტეტის დებულება;
- სამშენებლო ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა (7 წლიანი) და ფაკულტეტის სამოქმედო გეგმა (3 წლიანი); • სამშენებლო ფაკულტეტის ვებგვერდი <http://construction.gtu.ge/>
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამოქალაქო ინჟინერია“;
- შრომის ბაზრის ანალიზი
- ანალოგი პროგრამა სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან https://catalog.sdsu.edu/preview_program.php?catoid=5&pooid=4031&returnto=404

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „სამოქალაქო ინჟინერიის“ (შემდგომში - პროგრამა) სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის სწავლის შედეგებს. პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

#1. ინჟინერიის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და მათემატიკის ფუნდამენტური თეო-

რიების ფართო ცოდნით, კრიტიკულად იაზრებს სფეროს თეორიებსა და პრინციპებს;

#2. განმარტავს სამოქალაქო ინჟინერიის ზოგიერთ უახლეს ასპექტს, რომელიც გულისხმობს შენობა-ნაგებობებისა და სტრუქტურების დაგეგმვას, პროექტირებას, ტესტირებასა და მშენებლობის ხელმძღვანელობას;

#3. სამოქალაქო ინჟინერიის სფეროში, შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების, სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით, ეთიკის, შრომის და უსაფრთხოების ნორმების დაცვით ახდენს ისეთი რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრას, რომლებიც აკმაყოფილებენ მოსახლეობის გარემოს დაცვის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის განმსაზღვრელ მოთხოვნებს;

#4. წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, გეგმავს და ატარებს ექსპერიმენტს, ახორციელებს პრაქტიკული ხასიათის პროექტს, ახდენს მონაცემთა ანალიზს და ინტერპრეტაციას, იყენებს მათ სათანადო საინჟინრო შეფასებების და დასკვნების ჩამოსაყალიბებლად;

#5. სპეციალისტების და არასპეციალისტების აუდიტორიასთან, კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით, აწარმოებს მკაფიო და გასაგებ კომუნიკაციას სფეროსთან დაკავშირებული იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების თაობაზე;

#6. ჩართულია ინტერდისციპლინურ გუნდურ საქმიანობაში, რომლის წევრებთან ერთად ქმნის თანამშრომლობით გარემოს დასახული ამოცანების შესასრულებლად;

#7. გეგმავს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, განსაზღვრავს საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებებს და ახორციელებს მას დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. გამოიყენება შეფასების ადეკვატური ფორმები და მეთოდები, რაც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიღწევადია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. სწავლის შედეგების (პირდაპირი) შეფასების მეთოდები მოიცავს თითოეული სწავლის შედეგის დაგეგმვის, შეფასების, ანალიზის, პერიოდული მონიტორინგის და განვითარების მეთოდებსა და მიდგომებს. თითოეული სწავლის შედეგი არის გაზომვადი და ნათელყოფს მათი მიღწევის შესაძლებლობას და ამის უზრუნველსაყოფად განსაზღვრავს რეალისტურ გზებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება შემუშავებული გეგმით, შესაბამისი პერიოდულობით, თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ. პროგრამის თითოეული კომპონენტის სილაბუსში გაწერილია პროგრამის კომპონენტის თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისათვის შესაბამისი ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები. პროგრამის სწავლის შედეგების ოპტიმიზაციის მიზნით, გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება პროგრამის კომონენტების სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება. პროგრამის არაპირდაპირი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტზე შემუშავებულია მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავება/განვითარებაში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას. სწავლის შედეგების სრულყოფის მიზნით უზრუნველყოფილია ალადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებელთა ჩართულობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამოქალაქო ინჟინერია“;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;

<ul style="list-style-type: none"> • სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი და სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები; • პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები; • აკადემიური პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები
რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ფორმულირებულია შემდეგნაირად: ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა სამართლიანი, გამჭვირვალე და საჯაროდ ხელმისაწვდომი

ინფორმაცია, რომელიც რეგულირდება შემდეგნაირად:
ერთიანი ეროვნული გამოცდები: პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის წესი: საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტების კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ შესაბამისად.

გარე მობილობა: პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია, მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

შიდა მობილობა: პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტით და ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე როგორც სიახლეების ველში, ასევე სწავლების დეპარტამენტის გვერდზე ხდება ინფორმაციის განთავსება პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესებისა და პროცედურების შესახებ. ფაკულტეტის ვებგვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას ასევე მის შინაარსობრივ მხარესაც. უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდზე, ასევე ფაკულტეტის ვებგვერდზე მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია. ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია და ნებისმიერი საკითხის კონსულტაცია, როგორც სატელეფონო, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამოქალაქო ინჟინერია“;
 - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება“ – <http://gtu.ge/AboutStu/Thesis.php>
 - სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის №482 დადგენილება „სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია“

რეკომენდაციები:
-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემუშავებული და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი, რომელიც თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრავს პროგრამის შედგენის/განვითარების მეთოდოლოგიას.

„სამოქალაქო ინჟინერიის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) მიხედვით, 1 კრედიტი 25 საათს უდრის და მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. პროგრამის კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამის სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება არანაკლებ 4 წლით (8 სემესტრი). სემესტრი მოიცავს 20 კვირას, სემესტრის განმავლობაში 15 კვირა სასწავლოა (სააუდიტორიო მეცადინეობების) და 5 კვირა - სასესიო (შუასემესტრული, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების პერიოდი).

პროგრამა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო კომპონენტებს (ჯამში 182 კრედიტი), ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო არჩევით კომპონენტებს (ჯამში 53 კრედიტი) და თავისუფალ კომპონენტებს (5 კრედიტი). ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო კომპონენტები მოიცავს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსებს (ჯამში 172 კრედიტი), საბაკალავრო პრაქტიკას (5 კრედიტი) და საბაკალავრო პროექტს (5 კრედიტი). ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო არჩევით კომპონენტებს მიეკუთვნება:

- უცხოურ ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) - ჯამში მოიცავს 20 კრედიტს, რომელიც სასწავლო გეგმაში დაგეგმილია შემდეგნაირად: I სემესტრი - 5 კრედიტი; II სემესტრი - 5 კრედიტი; III სემესტრი - 5 კრედიტი; IV სემესტრი - 5 კრედიტი;
- არჩევითი ჰუმანიტარული კომპონენტები - 3 კრედიტის მოცულობით, რომელიც სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია პირველ სემესტრში და მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: შესავალი ფსიქოლოგიაში, ფილოსოფიის საფუძვლები, პოლიტიკის საფუძვლები, სოციოლოგიის შესავალი, საქართველოს ისტორია, კულტუროლოგია.
- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები - ჯამში მოიცავს 30 კრედიტს, რომელიც სასწავლო გეგმაში დაგეგმილია შემდეგნაირად: VII სემესტრში ორ

<p>არჩევით ბლოკად (თითოეული 6 კრედიტის მოცულობით) და VIII სემესტრში სამ არჩევით ბლოკად (თითოეული 6 კრედიტის მოცულობით).</p> <p>პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში შემავალი კომპონენტები არის თანამიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული. შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (პროგრამა ითვალისწინებს თავისუფალ კომპონენტს და სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტს). აქვე აღსანიშნავია, რომ მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო კურსების ცალკეული ჯგუფების დასახელებები (მაგ., „არჩევითი ჰუმანიტარული კომპონენტები“, „სავალდებულო არჩევითი უცხოური ენა“ და სხვ.) იყოს თანხვედრაში განათლების სფეროში მიღებულ ტერმინოლოგიასთან - სავალდებულო უცხო ენების მოდულის სახელწოდება არის „სავალდებულო არჩევითი უცხო ენა“. სინამდვილეში უცხო ენები მიეკუთვნება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს და ენებს შორის არჩევანის გაკეთება არ ნიშნავს მათ არჩევითობას. ასევე „არჩევითი ჰუმანიტარული კომპონენტის“ სასწავლო კურსები თავისი შინაარსით წარმოადგენენ „თავისუფალი კომპონენტის“ კურსებს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამოქალაქო ინჟინერია“; • სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ • პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო კურსების ცალკეული ჯგუფების დასახელებები (მაგ., „არჩევითი ჰუმანიტარული კომპონენტები“, „სავალდებულო არჩევითი უცხოური ენა“ და სხვ.) იყოს თანხვედრაში განათლების სფეროში მიღებულ ტერმინოლოგიასთან.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ

<p>მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>„სამოქალაქო ინჟინერიის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) თითოეული კომპონენტის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რაც წარმოდგენილია პროგრამის შესაბამისი დანართით. თითოეული სასწავლო კურსის და, შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ კვალიფიკაციათა მექვესე (ბაკალავრიატის) დონეს. პროგრამის ყოველი კომპონენტის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ კომპონენტისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად. პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სამოქალაქო ინჟინერიის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე, რაც უზრუნველყოფს როგორც პროგრამის კომპონენტებით, ისე მთლიანად პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის თითოეული კომპონენტის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება ადეკვატური ფორმებით, მეთოდებით და კრიტერიუმებით, რაც მითითებულია შესაბამისი სილაბუსებში. აღსანიშნავია, რომ რიგ სილაბუსებში ადგილი აქვს გადაფარვას სალექციო თემატიკაში, მაგალითად სასწავლო კურსები: „წყლის გაწმენდის ინჟინერია“ და „წყლის მიწოდების და განაწილების სისტემები“; „ღია კალაპოტების ჰიდრაულიკა“ და „სითხების მექანიკა“; „მშენებლობის შეფასება და ტექნიკური ექსპერტიზის საფუძვლები“ და „მშენებლობის ეკონომიკის საფუძვლები“. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია აღმოიფხვრას სალექციო თემატიკის გადაფარვები.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამოქალაქო ინჟინერია“; - სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები). • სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • მიზანშეწონილია აღმოიფხვრას სალექციო თემატიკის გადაფარვები ზოგიერთ სილაბუსში.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვი-</p>

თარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობით და ინტერვიუში მონაწილე პირებთან გასაუბრებისით დადასტურდა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანიზებით ყოველწლიურად ტარდება ღია საერთაშორისო კონფერენციები. „სამოქალაქო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა პროფესიული ინტერესების შესაბამისად მონაწილეობა მიიღონ როგორ ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საბაკალავრო პრაქტიკა (5 კრედიტის მოცულობით). პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან: შპს „მშენ-ექსპერტი“, შპს „საქართველოს ტექნიკური ჯგუფი“, შპს „კავტრანსპროექტი“, შპს „საქტრანსპროექტი“, ა(ა)იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“, შპს „თბილგზაპროექტი“, შპს „აბსოლუტ სერვისი“, „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. ხელშეკრულებების მიხედვით, სტუდენტს პრაქტიკის ობიექტზე ენიშნება მენტორი, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკის პროცესის სწორად წარმართვას პრაქტიკის სილაბუსისა და დღიურის შესაბამისად. პრაქტიკის დასრულების შემდეგ თითოეულ სტუდენტზე გაიცემა სათანადო წესით დადასტურებული დასკვნა-დახასიათებას. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ 2019 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტსა და ა(ა)იპ „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციას“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია პრაქტიკული უნარების გამომუშავების უზრუნველყოფის მიზნით სტუდენტების ჩართულობა ასოციაციის წევრ-კომპანიებში, სადაც სტუდენტები შეძლებენ მონაწილეობის მიღებას კომპანიის მიერ წამოწყებულ პროექტებში. პრაქტიკული გამოცდილება საშუალებას მისცემს სტუდენტებს გაეცნონ მშენებლობის თავისებურებებს და შეძლონ სპეციფიკის გათვალისწინებით ბიზნეს საქმიანობის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა, გააზრება, მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა. სტუდენტებს განუვითარდებათ წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით მშენებლობის მარტივი პროცესების მართვის უნარი; მითითების შესაბამისად დარგში საერთო პრობლემების იდენტიფიცირების, ფორმულირებისა და გადაჭრის უნარი; სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით მშენებლობისადმი წაყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით სამუშაოთა მარტივი პროცესების წარმართვის უნარი.

პერიოდულად ფაკულტეტზე ხორციელდება სტუდენტების გამოკითხვა და მათი ინტერესების და კმაყოფილების კვლევა. ფაკულტეტის ადმინისტრაცია მაქსიმალურად ცდილობს გაითვალისწინოს სტუდენტების სურვილები და ინტერესები მათი მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავებისა და განმავითარებელი აქტივობების დაგეგმვის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უბლიკაცია რომელიც ადასტურებს სტუდენტების კონფერენციებში მონაწილეობას.
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „სამოქალაქო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს მთლიანად პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელება მოიაზრებს: ლექციას, სემინარს, პრაქტიკულს და ლაბორატორიულ მუშაობას, საკურსო სამუშაო/პროექტს, პრაქტიკას, დამოუკიდებელი მუშაობას, საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობას. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები, მაგალითად, დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევების შესწავლა (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), წერითი მუშაობა, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ლაბორატორიული აქტივობა და სხვა. თითოეულ სასწავლო კურსში სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სასწავლო კურსის სპეციფიკას, არის მოქნილი და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს და სტუდენტის სასწავლო აქტივობებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის კომპონენტების სილაბუსები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სტუდენტის შეფასებისას ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 3 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების სისტემით. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. შეფასებების ფორმები მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შუალედური შეფასებები ფასდება 60 ქულით, ხოლო დასკვნითი გამოცდა - 40 ქულით. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შუალედური შეფასებისათვის შეადგენს 30 ქულას, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი ქულა არის მხოლოდ 11 ქულა, ანუ დასკვნითი გამოცდის შეფასების 27,5%. სასწავლო კომპონენტი დაძლეულია საერთო ჯამში 51 ქულის მიღების შემთხვევაში. ყველა სილაბუსში ასახულია დასკვნით გამოცდაზე დაშვების და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ასევე, შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. ყოველივე ზემოთ აღნიშნული განსაზღვრულია უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების მოქმედი წესით (იხ. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია: https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/sasw_proc_%20mart_inst_20.08.2021_SD.pdf). ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სასწავლო კურსებში ყველაზე ხშირად გამოყენებული შუალედური შეფასების კომპონენტებია (გარდა შუალედური გამოცდისა): საშინაო პრაქტიკული დავალებები, წერიითი გამოკითხვა, ქვიზები, ლაბორატორიული დავალებების შესრულება/წარდგენა. შუალედურ და დასკვნითი გამოცდების შემთხვევაში ძირითადად გამოყენებულია დახურული და ღია ტესტის ტიპის შეკითხვები ან თეორიული საკითხის მიმოხილვა. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს ისინი დადებითად აფასებენ მოქმედ შეფასების სისტემასა და მის შემადგენელ კომპონენტებს. ზოგადად, სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს. შეფასების ფორმები და კომპონენტები არის გამჭვირვალე და ცნობილია სტუდენტისათვის.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სხვადასხვა სისტემა, კერძოდ, ელექტრონული სერვისების სისტემა (იხ. ლინკი: <https://vici.gtu.ge/#/login>) და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა (იხ. ლინკი: https://leqtori.gtu.ge/2021_2022/I/B/info). პირველი მათგანი უზრუნველყოფს სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ სტუდენტთა ინფორმირებულობას მიმდინარე შეფასებების შესახებ. კურსის მიმდინარეობის მანძილზე თითოეულ სტუდენტს საშუალება აქვს თავის მიმდინარე შეფასებებს ელექტრონული მართვის სისტემიდან ადევნოს თვალი და

დროული რეაგირება ჰქონდეს მიღწეულ შედეგებზე. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით არსებობს ლექტორსა და სტუდენტს შორის იოლი კომუნიკაციის შესაძლებლობა. მეორე მათგანი უზრუნველყოფს სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ სასწავლო და საგამოცდო პროცესის წარმართვის მონიტორინგს. აღსანიშნავია, რომ ონლაინ სწავლებისთვის აქტიურად გამოიყენება moodle-ის სისტემა (იხ. ბმული: <https://elearning.gtu.ge/>), სადაც უზრუნველყოფილია ელექტრონული სასწავლო მასალების განთავსება. უშუალოდ ონლაინ გამოცდებისთვის ჩასატარებლად აქტიურად გამოიყენება <https://testing.gtu.ge/>. უნივერსიტეტში სტუდენტებს შეუძლიათ სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრება და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენა (იხ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის მე-8 მუხლი). სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სწავლის შედეგების შეფასებას დასაბუთებული საჩივრით მიმართავს დეკანს და მოითხოვს შედეგების გადასინჯვას. სტუდენტებთან ინტერვიუების დროს მათ განაცხადეს რომ მათ ამ უფლებამოსილებით არ უსარგებლიათ, მხოლოდ სტუდენტების ნახევარმა განაცხადა, რომ ზოგადად სმენიათ ამის შესახებ. რაც შეეხება სილაბუსს, სტუდენტი მას შეიძლება გაეცნოს შესაბამისი სასწავლო კურსის წამყვან პროფესორთან, ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

პროგრამაში სავალდებულო სახით შესასრულებელია საბაკალავრო პრაქტიკა 4 კრედიტის მოცულობით. ამ უკანასკნელის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია და სხვ. მოცემულია საბაკალავრო პრაქტიკის სილაბუსსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესში (იხ. ლინკი: https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/pragtika_18_SD.pdf). საბაკალავრო პრაქტიკის შეფასება იყოფა ორ ნაწილად: მიმდინარე აქტივობის შეფასება (სულ 60 ქულა) და დასკვნითი ანუ პრაქტიკის დაცვა (სულ 40 ქულა). მიმდინარე აქტივობის შემთხვევაში სტუდენტის შეფასება ხდება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ, სტუდენტის ინდივიდუალურად წარმოდგენილი სასწავლო პრაქტიკის დღიურის მიხედვით. ხელმძღვანელი ყოველი კვირის ბოლოს განიხილავს სტუდენტების დღიურებს და ისმენს მათგან ინფორმაციას პრაქტიკის მსვლელობის შესახებ. მაქსიმალური ყოველკვირეული შეფასება შეადგენს 4 ქულას, მათ შორის პრაქტიკის დღიური - 2 ქულა, გამოკითხვა - 2 ქულა. ხოლო დასკვნითი გამოცდის (დაცვის) დროს პრაქტიკის ხელმძღვანელი განიხილავს სტუდენტების მიერ პრაქტიკის ანგარიშს და ისმენს მათ პრეზენტაციას. მინიმალური დადებითი შეფასება ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის შეადგენს მაქსიმალური შეფასების (ანუ 40 ქულის) 25%-ს. შეფასების სკალირებული ქულა მიიღება ფორმულით $S=8*M$, სადაც M არის შეფასების კრიტერიუმების (რომელიც იწყება 5 ქულიდან) თანახმად მიღებული ქულა. სტუდენტმა უმაღლესი შეფასება, 5 ქულა, შეიძლება მიიღოს იმ შემთხვევაში თუ: „პრაქტიკის ანგარიში სრულად არის შესრულებული, მათ შორის ინდივიდუალური დავალება; სტუდენტის მსჯელობა პრაქტიკის ანგარიშის შინაარსის შესახებ გამართული და დამაჯერებელია. ახდენს მასალის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებას. გამოყენებულია პროფესიული ტერმინოლოგია“. ამ შემთხვევაში ჩნდება შეკითხვა როგორ შეიძლება მიიღოს სტუდენტმა შეფასება 32 ქულიდან 40 ქულამდე შუალედში?

პროგრამაში, ასევე, სავალდებულო სახით შესასრულებელია საბაკალავრო პროექტი 5 კრედიტის მოცულობით. ამ უკანასკნელის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია და სხვ. მოცემულია საბაკალავრო პროექტის სილაბუსსა და საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ ნაშრომის შესრულების წესში (იხ. ლინკი: https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/2sabalavro_%20nashromi_%202019_SD.pdf). საბაკალავრო პროექტის შეფასება იყოფა

ორ ნაწილად: შუალედური შეფასება (სულ 30 ქულა) და დასკვნითი (დაცვა) შეფასება (სულ 70 ქულა). საბაკალავრო პროექტის შუალედური შეფასების მინიმალური დადებითი შეფასებაა 15 ქულა. ხელმძღვანელი აფასებს. სტუდენტის მიერ I ეტაპზე შესრულებულ სამუშაოს. შუალედური შეფასების კრიტერიუმების ქულათა დიაპაზონი 0-დან 5 ქულამდეა. სტუდენტმა უმაღლესი შეფასება, 5 ქულა, შეიძლება მიიღოს იმ შემთხვევაში თუ: „პროექტი სრულყოფილად არის წარმოდგენილი, მასში ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი, დასმულია ამოცანა და მისი გადაწყვეტის გზა, ტერმინოლოგია გამართული და ადეკვატურია“. საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასების სკალირებული ქულა მიიღება ფორმულით: $S=6xM$ (ქულა), სადაც M უნდა იყოს საბაკალავრო პროექტის შუალედური შეფასების კრიტერიუმის ქულა. სილაბუსში მითითებულია, რომ „M არის საბაკალავრო პროექტის შუალედური შეფასების ქულა“, რაც აზრს მოკლებულია და სავარაუდოდ ტექნიკურად გამორჩენილია ერთი სიტყვა. საბაკალავრო პროექტის დასკვნითი ანუ დაცვის შეფასების მინიმალური დადებითი შეფასება არის 21 ქულა (მაქსიმალური შეფასების 30%). დასკვნითის შეფასების დროს საბაკალავრო ნაშრომს აფასებს 3 წევრისაგან შემდგარი კომისია, რომელიც მტკიცდება აკადემიური დეპარტამენტის წარდგენით დეკანის ბრძანებით და რომელშიც შეიძლება შედიოდეს არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. სტუდენტს კომისიის თითოეული წევრის აფასებს სამი კომპონენტის მიხედვით, კერძოდ:

- საბაკალავრო პროექტის შინაარსი და გაფორმება -(მაქსიმალური შეფასება 6 ქულა);
- პრეზენტაცია (მაქსიმალური შეფასება 5 ქულა);
- კითხვა-პასუხი (მაქსიმალური შეფასება 3 ქულა).

საბაკალავრო პროექტის დაცვის სკალირებული ქულა მიიღება ფორმულით: $S=5xM$ (ქულა), სადაც M არის კომისიის თითოეული წევრის მიერ გაკეთებული შეფასებების ჯამების საშუალო არითმეტიკული.

სტუდენტი, რომელიც ვერ მიიღებს დაცვაზე მინიმალურ დადებით შეფასებას და/ან ჯამურად დააგროვებს 41-50 ქულას, განმეორებით დაცვაზე დაიშვება დამატებითი გამოცდების ვადებში. თუ აღნიშნული სტუდენტი განმეორებით დაცვაზე ვერ მიიღებს მინიმალურ დადებით შეფასებას (მიუხედავად ჯამურად დაგროვებული ქულებისა) ან ჯამურად ვერ დააგროვებს 51 და მეტ ქულას, საბაკალავრო ნაშრომი ხელახლა ექნება შესასრულებელი. სტუდენტს შემდეგ სემესტრში შეიძლება მიეცეს იგივე თემის შესრულების უფლება.

საყურადღებოა, რომ არ ხდება საბაკალავრო პროექტის გადაცემა რეცენზენტზე და არ ხდება მისი პლაგიატზე შემოწმება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედებს სამეცნიერო ნაშრომების პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი. გამოყენებული პროგრამაა „Strikeplagiarism“. ზემოთ აღნიშნულ წესში ჩვენ ვკითხულობთ, რომ „უნივერსიტეტში პროგრამა „Strikeplagiarism“-ი გამოყენება გათვალისწინებულია დაცული/დასაცავი დისერტაციებისთვის, უნივერსიტეტის ეგიდით გამომავალი როგორც სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად მომზადებული სამეცნიერო სტატიებისთვის, ასევე უნივერსიტეტის ეგიდით გამომავალი გამოქვეყნებული თუ გამოსაქვეყნებლად მომზადებული სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებისათვის“. ასევე, შეფასების წარმოდგენილი კრიტერიუმებში არ ჩანს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: პრობლემის დასმისა და წარმოჩენის უნარი; თემის სიახლის დასაბუთების უნარი; გამოყენებული წყაროები/ლიტერატურის დამოწმების უნარი და მისი მრავალფეროვნება. ვფიქრობთ მოცემული კომპონენტები მნიშვნელოვანია მეცნიერების ბაკალავრისთვის

სამოქალაქო ინჟინერიაში, ისევე როგორ, საბაკალავრო პროექტების პლაგიატის არსებობაზე შემოწმება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია;
- სტუ-ის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესი;
- საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შესრულების წესი;
- ელექტრონული სწავლების პორტალი, იხ. ლინკი: <https://elearning.gtu.ge/>;
- ელექტრონული სერვისების სისტემა, იხ. ლინკი: <https://vici.gtu.ge/#/login>;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა, იხ. ლინკი: https://leqtori.gtu.ge/2021_2022/I/B/info;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამეცნიერო ნაშრომების პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი, იხ. ლინკი: https://construction.gtu.ge/wp-content/uploads/2018/03/plagiatis_ardebobaze_shemowmebis_wesi.pdf
- სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია შეიცვალოს საბაკალავრო პროექტის შეფასების კომპონენტები და შეიქმნას დეტალური რუბრიკები, სადაც ნათლად გამოიკვეთება ისეთი თემები, როგორებიცაა პრობლემის დასმისა და წარმოჩენის უნარის შეფასება; თემის სიახლის დასაბუთების უნარის შეფასება; გამოყენებული წყაროები/ლიტერატურის დამოწმების და მისი მრავალფეროვნების შეფასება.
- რეკომენდებულია შეიქმნას შეფასების დეტალური რუბრიკები საბაკალავრო პრაქტიკის დასკვნითი (დაცვის) გამოცდის შემთხვევაში.
- რეკომენდებულია საბაკალავრო პროექტების პლაგიატის ამომცნობ პროგრამაში შემოწმება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი სასწავლო პროცედურების, მათ შორის შეფასების გასაჩივრების, შესახებ.
- სასურველია მინიმალური დადებითი შეფასების გაზრდა დასკვნითი გამოცდების შემთხვევაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის	<input checked="" type="checkbox"/>			

ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
-------------------------------------	--	--	--	--

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტების ინფორმირებულობას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების საკითხებზე ძირითადად უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანატი) სხვადასხვა ხერხის გამოყენებით. მაგ., აუცილებელი ინფორმაცია (სასწავლო გეგმა, სასწავლო ბარათი, მიმდინარე შეფასებები, პედაგოგების ცხრილი, საგამოცდო ცხრილი და სხვა) სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემებში მათ პირად გვერდზე (ელექტრონული სერვისების სისტემა, იხ. ლინკი: <https://vici.gtu.ge/#/login> და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა (იხ. ლინკი: https://leqtori.gtu.ge/2021_2022/I/B/info). ასევე, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აგრეთვე GTU-tables (ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია).

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტები პოტენციური დამსაქმებლებისა თუ ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას მიიღებენ ფაკულტეტის ვებ-გვერდების სიახლეებიდან ან/და უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელისგან, პროგრამის განმახორციელებლებისგან. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის განხორციელებას და პროცესის შეუფერხებლად წარმართვას მომავალში ორგანიზებას გაუკეთებს ფაკულტეტი და პროგრამის ხელმძღვანელი.

პროგრამის მოქმედ სტუდენტებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ისურვებდნენ უფრო მეტი ჩართულობის შესაძლებლობას პრაქტიკულ საქმიანობაში, ვიდრე უბრალო დამკვირვებლის როლის მორგებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ, ისინი მხოლოდ მე-3 სემესტრის სტუდენტები გახლდნენ და მომავალ სემესტრებში უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი პრაქტიკული დატვირთვაც და მონაწილეობაც იქნება გაზრდილი, გამომდინარე მათ მიერ დაგროვებული ცოდნის შესაბამისად.

ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ფიქსირდება ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია: საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ექსპერტებთან საუბრისას დაადასტურეს, რომ მათი დატვირთვა და შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულებები ითვალისწინებენ სტუდენტთა კონსულტაციების საათებსაც. ზოგადად, ყოველი სემესტრის დასაწყისში დგინდება ოფიციალური საკონსულტაციო განრიგი, რომელიც შემდგომ ქვეყნდება [მატერიალურად] ფაკულტეტის საინფორმაციო დაფებზე. ინ-

ტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით სტუდენტები ადასტურებენ, რომ ისინი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან იღებენ მათთვის აუცილებელ კონსულტაციებს და საჭირო ინფორმაციას. ამასთან, მათ შორის კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის ან სოციალური ქსელის დახმარებითაც კი. ამასთან, მიმდინარე პერიოდში პანდემიასთან დაკავშირებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, სტუდენტებს შეუძლიათ ლექტორთან შეთანხმებით ნებისმიერ დროს მიიღონ შესაბამისი ონლაინ კონსულტაციაც.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, დარგობრივი სემინარები, რომლებშიც სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა. ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების და სხვათა შესახებ სტუდენტები იღებენ უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან და ადმინისტრაციისგან. თუმცა, მიმდინარე ეტაპზე სტუდენტების დაინტერესება ამ მიმართულებით არ არის, ვინაიდან იმყოფებიან სწავლების მეორე წლის დასაწყისში. ზოგადად, ექსპერტთა ჯგუფის თხოვნის საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამშენებლო ფაკულტეტის მხოლოდ ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში ჩართულობის მაჩვენებელი 2016-2017 სასწავლო წლიდან 2021-2022 სასწავლო წლის ჩათვლით შეადგენს 7-ს. ეს უკანასკნელი ფაკულტეტის დონეზე დაბალ მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ამ კუთხით დაგეგმილი აქვს გარკვეული შეხვედრების ციკლი ფაკულტეტის სტუდენტებთან, სტუ-ს საერთაშორისო დეპარტამენტის წარმომადგენლებსა და ERASMUS+ პროგრამის კოორდინატორთან საქართველოში, ასევე, დაგეგმილია ახალი მემორანდუმების გაფორმება და ძირითადი სფეროს შესაბამისი ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების დამატება.

ინტერვიუს შედეგების საფუძველზე ასევე დასტურდება, რომ უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება სტუდენტების გამოკითხვა, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, სასწავლო კურსების შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდულ შეფასებაზე. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი გამოკითხვის შედეგებიც. სტუდენტებს მეტწილად ჰქონდათ ინფორმაცია ამ შედეგების გამოყენების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ფაკულტეტის ვებგვერდი, იხ. ლინკი: <https://construction.gtu.ge/>
- ელექტრონული სწავლების პორტალი, იხ. ლინკი: <https://elearning.gtu.ge/>;
- ელექტრონული სერვისების სისტემა, იხ. ლინკი: <https://vici.gtu.ge/#/login>;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა, იხ, ლინკი: https://leqtori.gtu.ge/2021_2022/I/B/info;
- ERASMUS+-ის შესახებ ინფორმაცია, იხ. ლინკი: <https://construction.gtu.ge/erasmus/>;
- კონფერენციების და სემინარების შესახებ ინფორმაცია;
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში აამოქმედოს დამატებითი სტიმულირების მექანიზმები, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას

საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში.

- სასურველია ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება დარგის პოტენციურ დამსაქმებლებთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

-

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე განმახორციელებელი პერსონალი. აკადემიური პერსონალი შერჩეულია ღია კონკურსის წესით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნების სრული დაცვით. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობისა და დაწესებულების შიდა რეგულაციებით დადგენილ სტანდარტებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე და მოცემულობის ობიექტური შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით, სრულად შეესაბამება აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამის მიმართ დაწესებულების მიერ წაყენებულ მაღალ სტანდარტს: პროგრამის პერსონალს აქვს შესაბამისი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები), ასევე საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობით. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მაღალ კვალიფიკაციას ადასტურებს მათ მიერ განხორციელებული გამოყენებითი და სამეცნიერო კვლევითი პროექტები როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. პროექტების სპეციფიკის გათვალისწინებით, ფაკულტეტის სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა კომპეტენციის შესაბამისად აკადემიურ პერსონალთან ერთად ჩაერთონ აღნიშნულ პროექტებში.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. პროგრამას ანხორციელებს 48 აკადემიური პერსონალი, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადო დონეზე წარმართვას. პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. არსებობს პროგრამას განმახორციელებელი პერსონალის შემსტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს შესაბამის დატვირთვას

პროგრამის განმახორციელებელზე დაკისრებული მოვალეობიდან გამომდინარე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ჩართულია, ასევე, საკონსულტაციო და პროგრამის განვითარების პროცესში.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი პროფესიული ცოდნა, გამოცდილება, უნარები და კომპეტენცია. იგი მონაწილეობს პროგრამის შემუშავებაში, პროგრამის შეფასება-განვითარებაში და განხორციელებაში. პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელია 2019 წლიდან, სტუ-ს პროფესორია 2013 წლიდან, ავტორია 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 7 სახელმძღვანელოს. 2019 წელს გაიარა მან სტაჟირება სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში (აშშ), რის შედეგადაც მოწვეული იყო სან დიეგო-ჯორჯიის უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორის თანამდებობაზე, სადაც კითხულობს შემდეგ კურსებს: „Environmental Engineering“, „Water Treatment Engineering“, „Wastewater Treatment Engineering“ და „Solid and Hazardous Waste Engineering“. მისი ხელმძღვანელობით ორმა დოქტორანტმა დაიცვა დარგისთვის მაღალი მეცნიერული ღირებულების სადოქტორო დისერტაცია (მათ შორის ერთი ინგლისურ ენაზე) და 6-მა მაგისტრანტმა - სამაგისტრო ნაშრომი (ყველა ინგლისურ ენაზე). 2019, 2020 და 2021 წლებში იგი მონაწილეობდა ამერიკის სააკრედიტაციო საბჭოს ინჟინერიასა და ტექნოლოგიაში (ABET) სიმპოზიუმებში, აქტიურად მონაწილეობს პროფესიულ საქმიანობაში, არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი და მშენებლობის ინჟინერიის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრი. ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილს, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, აქვს პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი პროფესიული ცოდნა და გამოცდილება. იგი აქტიურად მონაწილეობს პროგრამის შემუშავებაში, პროგრამის შეფასება-განვითარებასა და განხორციელებაში.

პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელშეწყობით: პროგრამას ემსახურება სათანადო კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებიც მუშაობენ სტუ-ს და სამშენებლო ფაკულტეტის შესაბამის სამსახურებსა და სტრუქტურულ ერთეულებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება“ – <http://gtu.ge/AboutStu/Thesis.php>
- სამშენებლო ფაკულტეტის დებულება <https://goo.gl/dv3DSz>;
- კონკურსის ვადები და ჩატარების პირობები <https://gtu.ge/News/17625/>
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 14 მაისის # 253 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, შრომითი და აფილირების ხელშეკრულებები.
- აკადემიური პერსონალის მეცნიერული მიღწევები <http://science.gtu.ge/>
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერები
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის CV
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და კმაყოფილების კვლევას რეგულარულად აწარმოებს, ანალიზებს და აქტიურად იყენებს შეფასებისა და კვლევის შედეგებს, რათა ხელი შეუწყოს ფაკულტეტის თითოეულ აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში და პროფესიულ განვითარებაში.

აკადემიურ პერსონალს ეძლევა სრული თავისფლება პროგრამის ინტერსებიდან გამომდინარე აწარმოოს თავის სამეცნიერო მუშაობა და სრულყოს პროფესიული დონე, ამავდროულად უნივერსიტეტში დანერგილი სისტემით უზურუნველყოფილია თანამშრომლების საქმიანობის რეგულარული შეფასება. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებში განსაზღვრულია „ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება“ და „ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა“, რომელთა წარმატებით განხორციელება. ძირითადად დაფუძნებულია უნივერსიტეტში დასაქმებული აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, საგანმანათლებლო და კვლევითი/სამეცნიერო პროცესის ეფექტიანად წარმართვის ხელშეწყობისათვის შემუშავებული პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა და სტრატეგიით“. ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის საკითხში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა და უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე საინჟინრო ორგანიზაციის, დიდი ბრიტანეთის „სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტის“ (ICE) ოფიციალური წარმომადგენლობა „საქართველოს სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოება“ (GSCE) გაიხსნა.

აკადემიური პერსონალი პერიოდულად გადის ტრენინგებს შემდეგი მიმართულებით: კარიერის დაგეგმვა; სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიები; სწავლის შედეგები და მათი შეფასება და სხვა.

უნივერსიტეტი 2017 წლიდან ახორციელებს პროექტებს ERASMUS+-ის ფარგლებში, რომლებ-

შიც აქტიურად არიან ჩართული მშენებლობის პროგრამების აკადემიური პერსონალი. 2018 წლიდან უნივერსიტეტი ახორციელებს პროექტს №598207-EPP-1-2018-1-GE-EPPKA2-CBHE-SP (2018-2578 / 001 – 001) - HERD „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა“, რომელიც გაგრძელდა 2021 წლამდე. 2018 წლიდან ხორციელდება პროექტი, რომლის კოორდინატორიც არის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ზურაბ გვიშიანი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2019 წელს (21.05 – 4.06) სამშენებლო ფაკულტეტის 3 პროფესორი და სამშენებლო ფაკულტეტის 10 სტუდენტი იმყოფებოდა პოლონეთში. სტუდენტებმა გაიარეს საწარმოო პრაქტიკა და აკადემიურ პერსონალთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციაში. ამავე პროექტის ფარგლებში 2019 წელს (24.09 - 08.10) საპასუხო ვიზიტით საქართველოში იმყოფებოდა პოლონეთის დელეგაცია. სამშენებლო ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო სემინარი ქ. ბათუმში თემაზე „წყლის გაწმენდის თანამედროვე ტექნოლოგიები“. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ვენის ბუნებრივი რესურსების და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტს (ავსტრია) შორის გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებისა და აკადემიური ურთიერთგაცვლის ფარგლებში 2018 წლიდან ხორციელდება პროექტი „აკადემიური თანამშრომლობა შესაძლებლობების გაზრდისათვის გარემოს დაცვის სწავლებაში - ACCES“. 2018-2019 წლებში სამშენებლო ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი რამოდენიმეჯერ იმყოფებოდა ამერიკაში, ABET- ის მიერ გამართულ სიმპოზიუმებზე და გაიარეს ტრენინგები ABET-ის სტანდარტების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების საკითხებზე, რაც დასტურდება შესაბამისი სერთიფიკატებით და ერთვის პერსონალის CV-ებს. აკადემიური პერსონალი აქტიურად იყო ჩართული ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „სამოქალაქო ინჟინერიის“ შემუშავებაში.

უნივერსიტეტის სრული მხარდაჭერით ხდება მივლინებების დაფინანსება და ყველანაირი ხელშეწყობა რაც დასტურდება მივლინების ბრძანებებით და ასევე მივლინების ანგარიშებით. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ლიეტუვის გედიმინასის ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, მეცნიერებსა და დოქტორანტებს შეუძლიათ უფასოდ განათავსონ სამეცნიერო ნაშრომები საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. 2020 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას, რის საფუძველზეც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტების „ნატოს“ საგრანტო პროექტში ჩაერთო. პროექტი ეხება წყლის კიბერუსაფრთხოებას და მასში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გარდა, ჩართულები არიან ნორვეგიის, იტალიის, ესპანეთის, გერმანიის, აშშ-ს და ჩინეთის წამყვანი უნივერსიტეტები. 2019 წლის 16 იანვარს, სამშენებლო ფაკულტეტის ორგანიზებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი „სეისმომდეგობა და საინჟინრო სეისმოლოგია“, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ გიორგი ქარცივაძის დაბადებიდან 100 წლის თავს, რომელსაც უაღრესად დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს მშენებლო-ინჟინერთა აღზრდის საქმეში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტი დიდ მხარდაჭერას სთავაზობს აკადემიურ პერსონალს და უქმნის მყარ საფუძველს და აძლევს ფართო არეალს როგორც პროფესიული განვითარებისათვის, ასევე სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად. არსებული მდგომარეობის პერიოდული ანალიზი, იძლევა შესაძლებლობას სწორად და მიზანმიმართულად დაიგეგმოს თანამშრომელთა განვითარების და წახალისების ღონისძიებები. წახალისების ღონისძიებები ხორციელდება როგორც ობიექტუ-

რი კრიტერიუმებისა და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე, ასევე საყოველთაო წახალისების გზით, პრემირებისა თუ სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის გზით. სტუ-ის აკადემიურ, მოწვეულ პროფესორთა და მასწავლებელთა პერსონალის მიერ აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით და სტუ-სთვის მნიშვნელოვან სხვა საქმიანობაში მიღწეული შედეგების შეფასება ყოველწლიურად წარმოებს შემდეგი კრიტერიუმებით:

- აქტივობები აკადემიურ საქმიანობაში;
- აქტივობები მეცნიერების ხაზით;
- სტუ-სთვის მნიშვნელოვანი სხვა საქმიანობები

ამ მიზნით, აკადემიურ საქმიანობაში ჩართული თითოეული პირი ავსებს ანკეტა-კითხვარს. უნივერსიტეტში და ფაკულტეტებზე ფუნქციონირებს სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოები, რომელზეც წარსადგენი სასწავლო მასალა გადაეცემა ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დასკვნის მომზადებისათვის. შესაბამისად, აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული სასწავლო-მეთოდური მუშაობის, მასალის მომზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამებთან მათი თავსებადობის შესახებ მზადდება დასკვნა, რომელსაც ეცნობა მასალის ავტორი, რაც აგრეთვე ემსახურება პერსონალის შეფასებას განვითარების მიზნით.

აკადემიური პერსონალი იყენებს სასწავლო მასალებს და სასწავლო ტექნიკურ საშუალებებს მათი ეფექტური მიწოდების მიზნით; მომზადებულ მასალებს ადვილად ხელმისაწვდომს ხდის სტუდენტებისათვის; ეხმარება ასისტენტს ან შემცვლელ ლექტორს და აწვდის მათ ყველა საჭირო ინფორმაციას. პერსონალი საკუთარი მიღწევების შესახებ ინფორმაციას განათავსებს მეცნიერული მიღწევების პერსონალურ გვერდზე.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საფაკულტეტო კომისიები, სტუ-ს რექტორის ბრძანება (19.11.2019 № 01-09-10/273 „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ“), რომლებსაც სხვა ძირითად ფუნქციებთან ერთად ევალება აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის შეფასება. მეცადინეობების ხარისხის შეფასების პროცესი წარმართება მეცადინეობაზე ფიზიკური დასწრებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, შრომითი და აფილირების ხელშეკრულებები, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი
- „სტუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის № 531 დადგენილება <http://gtu.ge/quality/Files/Pdf/531%20shfaseba.pdf>
- „სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“ - სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის № 450 / დადგენილება; <http://gtu.ge/quality/Files/Pdf/450cesi.pdf>
- აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესი
- ვებ გვერდი
- „პროფესიული განვითარების ცენტრი“ (<http://hpep.ge/ge/>)
- ფაკულტეტის ბიუჯეტი
- ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზები
- გამოკითხვის შედეგები
- აკადემიური პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები

• ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას; სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში და ასევე ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას, ასევე ბიბლიოთეკის ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მრავალფეროვანია, განახლებადია დარგში მიმდინარე განვითარებების კვალდაკვალ და უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასა და კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებას. სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.</p> <p>ნებისმიერი მომხმარებლისთვის უნივერსიტეტის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა, ამასთან, სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა Elsevier-ის მიერ შემოთავაზებულ პროდუქტებზე – სამეცნიერო ბაზებზე: ScienceDirect და Scopus და სხვა. უნივერსიტეტი, აგრეთვე, მონაწილეობს პროექტში „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის“, რომელიც ითვალისწინებს გაწვევრიანებას კონსორციუმში და საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. კონსორციუმში მონაწილეობით უნივერსიტეტს აქვს ელექტრონული რესურსების გამოყენების უფლება. დაგეგმილია ბაზების გაფართოება.</p> <p>პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. ფაკულტეტის ყველა სართული აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით. პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო</p>

მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს თანამედროვე და მაღალი დონის სასწავლო და სამეცნიერო ლაბორატორიები და ცენტრები: ჰიდრავლიკის ლაბორატორია, ჰიდროტექნიკური ნაგებობების ლაბორატორია, წყალმომარაგებისა და წყალარინების ლაბორატორია, თბოაირმომარაგების და ვენტილაციის ლაბორატორია, მექანიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია, სამშენებლო მანქანების ლაბორატორია, მშენებლობისა და ნაგებობების კვლევების ცენტრი. ლაბორატორიები გამოიყენება პროგრამის სასწავლო პროცესში ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების მიზნით. პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია სხვადასხვა მემორანდუმები და ხელშეკრულებები ეკონომიკურ აგენტებთან. მემორანდუმების ფარგლებში ხდება მათი საწარმოო ბაზის სასწავლო მიზნებით გამოყენება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალებით სარგებლობის წესი https://gtu.ge/Library/Pdf/sarg_wes_2020.pdf
- სტუ-ს ცენტრალური სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკა: <http://gtu.ge/Library/>
- ფაკულტეტის ბიბლიოთეკა: <https://goo.gl/fsWZLk>
- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის ფაქტობრივი მდგომარეობა;
- სტუ-ის უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
- სტუ-ს მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ლაბორატორიული ბაზის აღმწერი დოკუმენტები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- მატერიალური ბაზა, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა მათ შორის ელექტრონული მაღალი ხარისხით პასუხობენ პროგრამით გათვალისწინებულ და ზოგადად დარგში არსებულ თანამედროვე მოთხოვნებს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფინანსური რესურსების გამოყოფა პროგრამისთვის პროგრამის და ფაკულტეტის ბიუჯეტითაა გათვალისწინებული, რომლის მხოლოდ ნაწილს შეადგენს პროგრამის სტუდენტთა მიერ გადახდილი სწავლის საფასური. შესაბამისად, პროგრამის ფინანსური მდგრადობა ფაკულტეტის საერთო შემოსავლით არის უზრუნველყოფილი, რომელიც წლიდან წლამდე იზრდება და 2021 წლისთვის 5210250 ლარს შეადგენს. ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა სახელმწიფოს მიერ და უშუალოდ სტუდენტების მიერ სწავლებაში გადახდილი თანხები. აღნიშნულს ემატება ექსპერტული მომსახურებით, შეკვეთილი ტრენინგებით, სამეცნიერო გრანტებით და სხვა მსგავსი აქტივობებით მოზიდული სახსრები. ყოველწლიურად, სავარაუდო ხარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით, ფაკულტეტი დამოუკიდებლად შეიმუშავებს წლიურ ბიუჯეტს, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „სამოქალაქო ინჟინერიის“ ფინანსური ანალიზი ცხადყოფს, რომ პროგრამა მდგრადია. პროგრამის განხორციელებისა და განვითარების მიზნით გამოყოფილი თანხები დინამიურად იზრდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიუჯეტი;
- პროგრამის ფინანსური ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის მართვის ერთიანი სისტემა - მიდგომები, წესები და მექანიზმები, რომლებიც ვრცელდება როგორც მთლიანად ინსტიტუციის, ისე ფაკულტეტის დონეზე. უნივერსიტეტში მოქმედი პოლიტიკის იმპლემენტაციას უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (ცენტრალური ოფისი) და ფაკულტეტებზე შექმნილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები: ცენტრალური ოფისი კოორდინირებას უწევს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების საქმიანობას, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კი ახდენს უშუალოდ ფაკულტეტის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვას და შესაბამისი მექანიზმების გამოყენებას, მათ შორის მონაწილეობს პროგრამების შეფასებისა და განვითარების პროცესში, თანამშრომლობს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებლებთან, სამუშაო ჯგუფებთან და სხვ.

ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში პოლიტიკა, ასევე ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამის შეფასების პროცესებისადმი მოთხოვნები განისაზღვრება დაწესებულებაში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტებით, მათ შორის ძირითადია:

- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი), რომლის თანახმად, ხარისხი არის ობიექტის (მაგ., საქმიანობა, პროცესი, გაწეული მომსახურება) მახასიათებლების შესაბამისობის დონე დადგენილ მოთხოვნებთან. ამ დოკუმენტის თანახმად, უნივერსიტეტის პოლიტიკა ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ორიენტირებულია ISO 9000 სერიის სტანდარტებთან და ESG-2015-ის („ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში“) სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, სისტემის განვითარება ხდება ხარისხის მართვის პრინციპების შესაბამისად, ე. წ. PDCA ციკლის მიხედვით. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი: 1) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის შემუშავების პრინციპები (1.1. მომხმარებელზე ორიენტაცია, 1.2. ხელმძღვანელობის ლიდერობა, 1.3. თანამშრომელთა ჩართულობა, 1.4. მუდმივი გაუმჯობესება, 1.5. გადაწყვეტილებების მიღება ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე, 1.6. ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა პარტნიორებთან) და 2) ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტები (2.1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, 2.2. პროგრამების შემუშავება და დამტკიცება, 2.3. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, სწავლება და შეფასება, 2.4. სტუდენტის მიღება, პროგრესია, აღიარება და სერტიფიცირება, 2.5. მასწავლებლები/ლექტორები, 2.6. სასწავლო რესურსები და სტუდენტების მხარდაჭერა, 2.7. ინფორმაციის მენეჯმენტი, 2.8. საჯარო ინფორმაცია, 2.9. მიმდინარე მონიტორინგი და პროგრამების პერიოდული შეფასება, 2.10. ხარისხის პერიოდული გარე უზრუნველყოფა).

- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი), რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების და განვითარების პროცესებს, ადგენს პროგრამის შემუშავებისას გასათვალისწინებელ ასპექტებს (პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, მიზნები, შედეგები, მოცულობა კრედიტებში, სწავლების ენა, სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა, პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი, პროგრამის მდგრადობის შეფასება, სხვ.) და პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში შეფასების კრიტერიუმებს. პროგრამის განვითარება მიმდინარეობს ხარისხის მართვის პრინციპების, მათ შორის PDCA ციკლის გამოყენებით.

აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამისთვის 2021 წელს შემუშავებულია დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“, რომლის თეორიულ საფუძვლებს წარმოადგენს საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, დაწესებულების წესება და ზემოთ მითითებული დაწესებულების შიდა მარეგულირებელი წესები. მითითებული დოკუმენტი აღწერს პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში ადმინისტრაციული ერთეულების ფუნქციებს, პროგრამის შეფასების ძირითად მიდგომებს, ასპექტებს და ეტაპებს, პროგრამის ხარისხის შეფასების კრიტერიუმებს, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ციკლს, პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებს. ამავე დოკუმენტში ცხრილების სახით მოცემულია ინფორმაცია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ურთიერთშესაბამისობის შესახებ და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სქემა, რომელშიც მითითებულია თითოეულ სწავლის შედეგების ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტები და მათი როლი (საფუძვლები შექმნა, გაღრმავება, განმტკიცება). ასევე, დოკუმენტში ასახულია პროგრამის სავალდებულო კომპონენტების ურთიერთკავშირი და სწავლების სემესტრები.

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამის მოდიფიცირებისა და თვითშეფასების პროცესი უზრუნველყო შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა (შემდგომში - ჯგუფი), რომლის შემადგელობაში შევიდნენ პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, ფაკულტეტის სწავლების განყოფილების უფროსი, სტუდენტი, დმსაქმებელი. ჯგუფის წევრებს შორის მოხდა ფუნქციების განაწილება აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით და სამუშაოს დაგეგმვა. სამუშაო პროცესში ჯგუფი თანამშრომლობდა ფაკულტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, სტუდენტებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, დარგის სპეციალისტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ჩატარდა სამუშაო და საკონსულტაციო შეხვედრები, გამოკითხვები, განხილულ იქნა ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამები, შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები (№22 გადაწყვეტილება, 06.03.2020). სამუშაო პროცესში მიღებული ინფორმაციის და რეკომენდაციების ანალიზის შედეგად პროგრამაში გახორციელდება გარკვეული ცვლილებები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, პროგრამის მოდიფიცირების პროცესში იყო ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების საფაკულტეტო კომისია (ოქმები: №№1, 12.03.2021; #2, 31.03.2021; #3, 10.04.2021; #5, 31.05.2021), რომელმაც ეტაობრივად განიხილა ისეთი საკითხები როგორცაა, მაგალითად: მიღებული რეკომენდაციების გათ-

ვალისწინებით პროგრამის მიზნებისა და შედეგების ფორმირება; პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი; აკრედიტაციის სტანდარტებთან და დაწესებულების შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან პროგრამის შესაბამისობა; დარგობრივი ორგანიზაციების მიერ პროგრამის შეფასება, სტუდენტების და პროგრამის განმახორციელებლების გამოკითხვების შედეგები; პროგრამის ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა და სხვ.

სამუშაო პროცესში აქტიურად იყო ჩართული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც კონსულტირება გაუწია ჯგუფის წევრებს და მონაწილეობა მიიღო ინფორმაციის დამუშავებაში და შეჯამებაში. პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებელმა აღნიშნეს ამ პროცესებში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლი და მნიშვნელობა, აქტიური ჩართულობა და მიღებული მხარდაჭერა და გამოთქვეს კმაყოფილება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან აქტიური თანამშრომლობით, მიღებული რეკომენდაციების და კონსულტაციების ხარისხით.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულ შეხვედრებზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებელმა დეტალურად ისაუბრეს პროგრამის მოდიფიცირებისა და შეფასების ეტაპებზე, შესწავლილ პრაქტიკებზე და გარე შეფასების შედეგებზე, გამოწვევებზე და მიგნებებზე. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა შემუშავდა ამერიკელ პარტნიორებთან თანამშრომლობით, მათი მხარდაჭერით და მაქსიმალური ჩართულობით. პროგრამა შემუშავებულია სან-გიეგოს უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სამოქალაქო ინჟინერიის“ ანალოგიით, რომელსაც მინიჭებული აქვს ABET-ის (Accreditation Board for Engineering and Technology) აკრედიტაცია. ხელშეკრულების საფუძველზე სან-დიეგოს უნივერსიტეტის და ABET-ის საერთაშორისო ექსპერტების მხარდაჭერით დაგეგმილია პროგრამის ABET-ის აკრედიტაციის მოპოვება, რაზეც ამ ეტაპზე ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს.

წარმოდგენილი დოკუმენტების და ინფორმაციის შესწავლის, ასევე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, შემდეგი გარემოებები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას აქვს რელევანტური თეორიული საფუძვლები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ სისტემის მდგრადობას. აღნიშნული დასტურდება უნივერსიტეტში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტებით.
- პროგრამის მოდიფიცირების და შეფასების პროცესი იყო კომპლექსური და თანამშრომლობითი: პროგრამის მოდიფიცირება და შეფასება განხორციელდა სამუშაო ჯგუფის მიერ, არსებული მარეგულირების წესების შესაბამისად, გამჭვირვალედ და კომპლექსურად. პროცესი არის დოკუმენტირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების საფაკულტეტო კომისიის ოქმების სახით, საიდანაც ირკვევა როგორ მიმდინარეობდა პროგრამის მოდიფიცირების პროცესი, ვინ იყო ჩართული ამ პროცესში, რა საკითხების გადაჭრაზე მიმდინარეობდა მუშაობა და სხვ. შეფასების პროცესში შესწავლილ იქნა პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომლევ როგორც რაოდენობრივად, ისე თვისობრივად და ტექნიკური გამართულობით პასუხობს პროგრამის თავისებურებებს და უზრუნველყოფს მის სათანადოდ განხორციელებას (პროგრამის ტექნიკური რესურსის შემოწმებას, საჭიროების შემთხვევაში - შეკეთებას, უზრუნველყოფს სერტიფიცირებული, შემოწმების უფლებამოსილების მქონე, გარე ორგანიზაცია).

- პროგრამის მოდიფიცირების და თვითშეფასების პროცესში იყო იდენტიფიცირებული პროგრამის გასაუმჯობესებელი ასპექტები და განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მისი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით. ასევე, იყო უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების კვლევა, მათი ჩართულობა და ინფორმირება, პროგრამის განხორციელებით უკვე მიღებული გამოცდილების და გარე შეფასების გათვალისწინება და სხვ. აღნიშნული დასტურდება როგორ დოკუმენტურად, ისე ინტერვიუს შედეგებით.
- განხორციელდა პროგრამის შესწავლა და დადებითი შეფასება დარგის სპეციისლიტების (საქართველოს დარგობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლის და უცხოეთის უსდ-ს პეროფესორის) მიერ. ასევე, პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრებით დადასტურდა მათი ჩართულობა და პროგრამის დადებითი შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი);
- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი);
- „სამოქალაქო ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ 2021;
- თვითშეფასების ჯგუფის ოქმი (№1, 12.04.2021);
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების საფაკულტეტო კომისია (ოქმები: №1, 12.03.2021; №2, 31.03.2021; №3, 10.04.2021; №5, 31.05.2021);
- გარე შეფასება დარგის ექსპერტების მიერ (პროგრამაზე გამოხმაურების წერილები);
- ანალიზის დოკუმენტები (სტუდენტთა, განმახორციელებელთა, დამსაქმებელთა გამოკითხვები);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებაში პროგრამის ხარისხის გარე შეფასების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს აკრედიტაციის პროცესი და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. ასეთი გარე შეფასება განხორციელდა 2020 წელს, რა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - აკრედიტაციის საბჭო) გადაწყვეტილებით პროგრამას პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა (საბჭოს გადაწყვეტილება №22, 06.03.2020). აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და შეფასებები, ამავდროულად შეიმუშავა სხვა რეკომენდაციებიც. აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები (იხ. აკრედიტაციის საბჭოს ზემოთ მითითებული გადაწყვეტილება) შეეხო შემდეგ საკითხებს:

აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები	შესრულების აღწერა/მტკიცებულება
1) პროგრამის მიზნებში იმ ჩანაწერების დაზუსტება, რომლებიც „სცდება იმ უნარ-ჩვევებს და შესაძლებლობებს, რაც შეიძლება ბაკალავრმა კურსის გავლის შემდეგ მიიღოს“	პროგრამის მიზანი დაკორექტირდა. იხ. პროგრამის კურიკულუმი, მიზანი #1)
2) პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილის კორექტირება, კერძოდ:	რეკომენდაციები შესრულებულია
ა) შედეგები, რომლებიც მოიცავენ უნარებს, რომელთა „მისაღებად საჭირო ცოდნისა და გაცნობიერების ელემენტები არ შეესაბამება ზოგადად ბაკალავრის ცოდნის დონეს“	შედეგი დაკორექტირდა (იხ. პროგრამის კურიკულუმი, შედეგი #4)
ბ) შედეგები, რომლებიც უნდა მიიღწოდეს საწარმოსთან ბმვაში რეალურ გარემოში შესაბამისი დავალების შესრულებით და შესაბამისად არ ხერხდება ამ უნარების გაზომვით შეფასება“	შედეგი დაკორექტირდა (იხ. პროგრამის კურიკულუმი, შედეგი #6)
გ) შედეგები, რომლებსაც პროგრამის კურსდამთავრებელი „მიღებული ცოდნის კვალობაზე ვერ შეძლებს კვალიფიციურად გათვალისწინებას“ (საუბარია რელევანტური ტერმინის „უსაფრთხო გარემო“ გამოყენებაზე)	შედეგი დაკორექტირდა (იხ. პროგრამის კურიკულუმი, შედეგი #3)
3) სასწავლო კურსის „სამშენებლო პროცესების ორგანიზაცია და მართვა“ შინაარსის შეუსაბამო კომპონენტის „საკურსო სამუშაოს“ გაუქმება და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სასწავლო („მშენებლობის ეკონომიკის პრინციპები“) გადატანას	რეკომენდაცია შესრულებულია (იხ. სილაბუსები „მშენებლობის ორგანიზაცია და დაგეგმვა“, „მშენებლობის ეკონომიკის საფუძვლები“)
4) სტუდენტის მიერ პროგრამის შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების ათვისების მზაობის მიზნით მოკლე კურსის (პირობითი დასახელებით „შესავალი სპეციალობაში“) დამატება	დამატებულია სავალდებულო სასწავლო კურსი „შესავალი სამოქალაქო ინჟინერიაში“ (იხ. პროგრამის სასწავლო გეგმა)
5) პროგრამის შინაასი:	რეკომენდაციები შესრულებულია:
ა) ყურადღების გამახვილება სამშენებლო მანქანების ზოგად საკითხებზე	პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი „სამშენებლო მანქანები“ (იხ. პროგრამის სასწავლო გეგმა)
გ) საოფისე პროგრამების შემსწავლელი სასწავლო კურსის დამატება	არ არის გახიარებული, რადგან პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებლების განმარტებით, სტუდენტები საკმარის დონეზე ფლობენ საოფისე პროგრამებს, რაც დასტურდება სტუდენტების მიერ შესრულებული პრეზენტაციებით, საკურსო ნაშრომებით და ა.შ.
გ) პროგრამის არჩევით ნაწილში ბიზნესის ადმინისტრირებიდან სასწავლო კურსების შეთავაზება	პროგრამით შეთავაზებულია არჩევითი სასწავლო კურსები, მაგ.: „სამშენებლო კონტრაქტები და სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება“, „სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი“, „მარკეტინგის პრინციპები“ (იხ. პროგრამის კურიკულუმი)

6) სასწავლო კურსების შემთხვევაში:	რეკომენდაციები შესრულებულია:
ა) სილაბუსებში არსებული ტექნიკური ხარვეზების გასწორება	ტექნიკური ხარვეზები გასწორებულია
ბ) სასწავლო კურსის „ეკონომიკის საფუძვლები“ დასახელების დაზუსტება და კურსის შინაარსიდან გამომდინარე ყურადღების გამახვილება მიკროეკონომიკრო ეკონომიკის საკითხზე	სასწავლო კურს ეწოდა „ეკონომიკის პრინციპები“, რეკომენდაციის შესაბამისად მის შინაარსში გათვალისწინებულია მიკროეკონომიკის საკითხები (იხ. სილაბუსი)
გ) „სასწავლო კურსის „მშემბლობის მენეჯმენტი და უსაფრთხოება“ გაყოფა 2 დამოუკიდებელ სასწავლო კურსად „მშემბლობის მენეჯმენტი“ და „მშენებლობის უსაფრთხოება“	პროგრამით გათვალისწინებულია 2 დამოუკიდებელი სასწავლო კურსი: „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე“, „სამშენებლო პროცესების მენეჯმენტი“ (იხ. პროგრამის სასწავლო გეგმა);
სასწავლო ლიტერატურის შემთხვევაში:	რეკომენდაციები შესრულებულია:
ა) მხოლოდ იმ სასწავლო ლიტერატურის მითითება, რაც სასწავლო პროცესში გამოიყენება. საჭიროების შემთხვევაში - რიდერების მომზადება	რეკომენდაცია გათვალისწინებულია (იხ.: სასწავლო კურსების სილაბუსები)
ბ) მხოლოდ ქართულენოვანი ლიტერატურის მითითება და/ან სასწავლო კურსზე დამკვეთის წინაპირობის დაზუსტება	უცხოენოვანი სავალდებულო ლიტერატურის მითითების შემთხვევაში, ასევე მითითებულია შესაბამისი ქართულენოვანი სალექციო მასალა „ლექციების კურსი“).

ასევე, გარე შეფასების მიზნით პროგრამა განიხილეს გარე შემფასებლებმა (საქართველოს დარგობრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი და უცხოეთის უსდ-ს პეროფესორი), რომლებმაც დადებითად შეაფასეს პროგრამა და აღნიშნეს, რომ პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით დაგეგმილ შედეგზე გასვლას კურსდამთავრებული-სათვის მეცნიერების ბაკალავრი სამოქალაქო ინჟინერიაში ხარისხის მისანიჭებლად. სილაბუსების შინაარსი თანხვედრაშია პროგრამაში მითითებულ მიზნებსა და კომპეტენციებთან. აღნიშნული პოზიცია დაფიქსირებულია ოფიციალური წერილების ფორმით.

ინტერვიუს დროს პროგრამის აქტუალობაზე ისაუბრეს პოტენციურმა დამსაქმებლებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ განიხილეს პროგრამის დასრულებული პროექტი, პროგრამა თავისი შინაარსით პასუხობს დარგში არსებულ მოთხოვნებს, რაც წარმოადგენს მათი მხრიდან პროგრამის დადებითი შეფასების საფუძველი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები;
2. გარე შეფასება დარგის ექსპერტების მიერ (პროგრამაზე გამოხმაურების წერილები);
3. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში პროგრამის შეფასებას ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტი კომისია (შემდგომში - კომისია). კომისიას თავმჯდომარეობას უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრები არიან პროგრამის აკადემიური პერსონალი და სტუდენტი. პროგრამის შეფასების საკითხები, მათ შორის შესაფასებელი ასპექტები და ეტაპები, შემფასებელთა ვინაობა და მათი ფუნქციები რეგულირდება საუნივერსიტეტი დებულებებით („ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“) და 2021 წელს აკრედიტაციის მიზნით წარდგენილი პროგრამისთვის შემუშავებული დოკუმენტით „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“.

პროგრამას პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა 2020 წლის 06 მარტს, განმეორებით აკრედიტაციაზე წარდგენილ იქნა 2021 წლის 17 ოქტომბერს. შესაბამისად, ამ პერიოდში ვერ იქნებოდა გამოყენებული ცალკეული არაპირდარი და პირდაპირი შეფასების მეთოდები, რაც განპირობებულია ობიექტური გარემოებებით (მაგ., კურსდამთავრებულთა არარსებობა, პროგრამის შედეგებისთვის დაგეგმილ სამიზნე ნიშნულებთან დადარების შეუძლებლობა და ა.შ.) და იყო გამოყენებული შეფასების ის მექანიზმები, რომლებიც ამ პერიოდისთვის იყო რელევანტური (მაგ., სტუდენტების დამოკიდებულებების, აკადემიური მოსწრების, პროგრამის განმახორციელებლების მოსაზრებების შესწავლა):

- „აკადემიური პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა“ (2021) - შესწავლილ იქნა პროგრამის შესახებ პერსონალის ინფორმირების და პროგრამის შემუშავებაში ჩართულობის საკითხები, განმახორციელებლების მოსაზრებები პროგრამის მიზნებისა და შედეგების, პროგრამის სპეციფიკასთან პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესაბამისობის, უშუალოდ პროგრამის კომპონენტების განხორციელებასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ და სხვ.;
- პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვა - შესწავლილ იქნა სტუდენტების ინფორმირების ხარისხი პროგრამის მიზნების, შედეგებისა და დასაქმების შესაძლებლობის შესახებ, პროგრამის შესაბამისობა სტუდენტთა მოლოდინებთან, სტუდენტთა მოსაზრებები სწავლების მეთოდების, შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების, სასწავლო კურსის შინაარსის და კურსის განმახორციელებელთან კომუნიკაციის, პროგრამაში სასურველ ცვლილებების შესახებ და სხვ. იმის გათვალისწინებით, რომ ანალიზის დოკუმენტი არ არის დათარიღებული, დაწესებულებას ეთხოვა განემარტა, როდის ჩატარდა გამოკითხვა და, შესაბამისად, გამოთქვეს სტუდენტებმა მოსასრება, რომ სასურველი იქნებოდა შეიცვალოს სასწავლო კურსის საკონტექტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა, შეიცვალოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა, დაემატოს ახალი სასწავლო კურსი ან რატომ არ აქვთ ინფორმაცია

მოდულიზირებული პროგრამის შესახებ. დაწესებულების (თვითშეფასების ჯგუფის) განმარტებით, გამოკითხვა ჩატარდა პროგრამის მოდიფიცირების პროცესის დასაწყისში, რის გამო სტუდენტებს ვერ ექმებოდათ ინფორმაცია მოდიფიცირებული პროგრამის შესახებ.

- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა (2020) - შესწავლილ იქნა რამდენად კმაყოფილები არიან სტუდენტები სასწავლო პროცესის ორგანიზებით, პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციით, საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებით, სწავლის გადასახადის ხელსაყრელი მოდელით და ა.შ.
- სტუდენტის მიერ პედაგოგის შეფასება - ამ გამოკითხვაში სტუდენტები აფასებენ უშუალოდ პროგრამის კომპონენტების განმახორციელებლებს. გარკვეულ გაუგებლობას იწვევს ქართულენოვანი პროგრამის შემთხვევაში რატომ არის რუსულ ენაზე მითითებული ცალკეული სასწავლო კურსების დასახელებები (მაგ., Теоретическая механика, Сопротивление материалов).
- ასევე, შესწავლილ და შემდგომ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კომისიის მიერ განხილულ იქნა სტუდენტთა აკადემიური მოსწრება (ოქმი№17, 26.07.2021).

დღეისათვის, პროგრამის შიდა შეფასების თაობაზე შეიძლება აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში მოქმედი წესებიდან გამომდინარე, პროგრამის პერიოდული შეფასება - თანმიმდევრული, გამჭვირვალე და სისტემატური პროცესი, რომლის მეშვეობით შესაძლებელია პროგრამის კომპლექსური შეფასება, მონაცემებზე და დინამიკაზე დაკვირვება, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება და გაუმჯობესებაზე მიმართული ქმედებების დაგეგმვა.

გარკვეული კითხვები გაჩნდა პროგრამის სწავლის შედეგებისთვის დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით, კერძოდ მითითებულია, რომ: პროგრამის 5 შედეგს მიაღწევს სტუდენტთა საერთო რაოდენობის 70% შეფასების სამიზნე ნიშნულით „> = 70%“, ერთ შედეგს - სტუდენტთა 65% არანაკლებ „> = 65%“ მაჩვენებლით, ერთ შედეგს კი - სტუდენტთა 65% არანაკლებ „> = 60%“ მაჩვენებლით. ექსპერტებს გაუჩნდათ კითხვა, რა პრინციპზე დაყრდნობით თვისობრივად განსხვავებულ სწავლის შედეგებისთვის (ცოდნა/უნარები) დადგინდა ერთნაირი (მაგ., 70%-იანი) მაჩვენებლები, როგორი ინდიკატორებით/ინსტრუმენტებით მოხდება მიღწეული შედეგის დადასტურება. აღნიშნულის შესახებ ექსპერტების დასმულ კითხვაზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ გამოიყენეს მოქმედი პროგრამის („მშენებლობა“) უკვე მიღებული შედეგები, ასევე აქვთ შემუშავებული დამაზუსტებელი ცხრილი, სადაც ყველა დეტალი არის გათვალისწინებული (შესაბამისი დოკუმენტი დამატებით იქნა წარმოდგენილი ვიზიტის სმვლელობისას) - წარმოდგენილ დოკუმენტში თითოეული სწავლი შედეგებისთვის მითითებულია შედეგის ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტები, შეფასების ინდიკატორები და შეფასების ინსტრუმენტები. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, დაგეგმილი სამიზნე ნიშნულების მიღწევა/ცდომილება შესწავლილ იქნება პროგრამის სრული ციკლის დასრულების შემდეგ, რა დროსაც მოხდება ამ ეტაპზე თეორიული სამიზნე ნიშნულების დადარება რეალურად მიღწეულ შედეგებთან, ასევე მონაცემების ანალიზი და სხვაობის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში დადგენილი სამიზნე ნიშნულების კორექტირება.

ინტერვიუს დროს პროგრამის განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის შეფასების პროცესი არის სისტემატური, კოორდინირებული და თანამშრომლობითი. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელმა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა

აღნიშნეს, რომ პროგრამის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია როგორც დამსაქმებლების მოსაზრებების (რომელთა მოსაზრებების გათვალისწინებით პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსები), ისე საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამა შემუშავებულია სან-გიეგოს უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სამოქალაქო ინჟინერიის“ ანალოგიით და არის ორიენტირებული ABET-ის მოთხოვნებზე, პროგრამის გუნდი ორიენტირებულია ABET-ის აკრედიტაციის მოპოვებაზე, რაზეც ინტენსიური მუშაობა და კონსულტაციები მიმდინარეობს საერთაშორისო ექსპერტებთან სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიმართულებით (აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი დამატებით წარმოდგენილია ვიზიტის მსვლელობისას). პროგრამის ხელმძღვანელმა და პროგრამის განმახორციელებელმა აღნიშნეს, რომ გარდა ზემოთ მითითებული გარემოებებისა, პროგრამის მოდიფიცირების პროცესში შესწავლილ და განხილულ იქნა უცხოეთის უსდ-ების პროგრამებიც, განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა იმ პროგრამებზე, რომლებიც ხორციელდება საქართველოს მსგავსი ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნებში. პროგრამის ხელმძღვანელმა დეტალურად ისაუბრა ამ პროგრამებთან დადარების შედეგების შესახებ, გახიარებულ ასპექტებზე და მათ მნიშვნელობაზე და იმ სასწავლო კურსებზე/საკითხებზე, რომელთა გათვალისწინებას მომავალში გეგმავენ.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები:**
- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი);
 - „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი);
 - „სამოქალაქო ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ 2021;
 - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შემადგენლობები;
 - გამოკითხვების შედეგები;
 - საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კომისიის მიერ განხილულ იქნა სტუდენტთა აკადემიური მოსწრება (ოქმი № 17, 26.07.2021);
 - სწავლის შედეგების შეფასების ინდიკატორები და ინსტრუმენტები (დამატებით წარმოდგენილი);
 - ABET- ექსპერტების დასკვნები (დამატებით წარმოდგენილი);
 - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
-

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- მიზანშეწონილია უცხოეთის უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები იყოს ფორმალიზებული ისეთი ფორმით, რომლის მეშვეობით დადგინდება უცხოეთის უსდ-ების პროგრამებთან დადარების შედეგები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-

შეფასება
 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

სამოქალაქო ინჟინერია. ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

მერაბ ბარათაშვილი 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

თამარ გვიანიშვილი 

ნინო ტალიკაძე 

პაატა გერაძე 